

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარის ამომრჩეველთან გაწეული მუშაობის ყოველწლიური
ანგარიშის წარდგენის შესახებ**

ო ქ მ ი

ანგარიში წარედგინა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის №1 საჯარო სკოლის პედაგოგებს.

ანგარიშის წარმდგენი: ვერიკო კვიციანი.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე.

შეხვედრის ოქმის შემდგენი: საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი ნანა წილოსანი.

საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი რუსუდან გვარჯალაძე.

ვერიკო კვიციანიმ შეხვედრა მოხსენებით დაიწყო, რომელიც ეხებოდა საკრებულოში მის მიერ გაწეულ აქტიურ მუშაობას, როგორც საკრებულოს სხდომებზე, ისე იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიაში. ხაზი გაესვა ნაყოფიერ თანამშრომლობას მუნიციპალიტეტის მერიასთან, ასევე მაქსიმალურ და მჭიდრო ურთიერთობას მოსახლეობასთან, მათი პრობლემების მოგვარების კუთხით. აგრეთვე უამრავ მოქალაქეს გაეწია იურიდიული კონსულტაცია.

მოხსენების განმავლობაში მიმდინარეობდა საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში წამოყენებული საკითხების და მათი გადაჭრის გზების დეტალური განხილვა, გამოთქმული შენიშვნების ანალიზი, მუნიციპალიტეტის მერიის დამოკიდებულება პრობლემებთან, აქცენტი გაკეთდა მთლიანად საკრებულოს, როგორც კოლექტიური დაწესებულების მნიშვნელოვან როლზე, რაც გულისხმობს საკმაოდ მნიშვნელოვანი სამართლებრივი პროექტებზე მუშაობას, მათ კანონთან შესაბამისობის დადგენას და საბოლოო ჯამში სწორი, მოსახლეობაზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღებას.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა სოციალური პროგრამებზე. ვერიკო კვიციანიმ პრიორიტეტად დაასახელა, ბიკარბონატული ჰემოდიალიზით დაავადებულ პაციენტთა მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხი, აგრეთვე საწოლს მიჯაჭვული ადამიანების შინამოვლასთან დაკავშირებული სოციალური პროგრამის დამატება არსებულ

პროგრამებზე. ამასთან, ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს ვეტერანების ფულადი დახმარების გაზრდის და ქირავნობის პროგრამას და დაიწყოს მათ დახვეწაზე მუშაობა.

ვერიკო კვიციანი საუბრისას შეეხო სპორტის სახეობების განვითარებას, რადგან ახალგაზრდების ჯანმრთელობა და მათი ფიზიკური აქტივობა მნიშვნელოვანია, როგორც თითოეული ადამიანისათვის, ისე მთლიანად სახელმწიფოსთვის.

ასევე, აღინიშნა ქალაქ ლანჩხუთის იერსახის გაუმჯობესების დღის წესრიგში არსებობის მნიშვნელობა, იქნება ეს გარე ვაჭრობის მოწესრიგება, პარკირების ადგილების განსაზღვრა, ქალაქი ცენტრში სანიაღვრე არხის მოწესრიგება თუ სხვა.

საბოლოო ჯამში შეხვედრამ საკმაოდ ნაყოფიერად ჩაირა, ამომრჩევლების მიერ გამოითქვა საკმაოდ პოზიტიური შეფასებები, შესაბამისად მათი განწყობა მიმართული იყო საკრებულოს მხარდაჭერისკენ, თუმცა იყო შენიშვნებიც, რომელიც აუცილებლად იქნება გათვალისწინებული და დასმული მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წინაშე და ვერიკო კვიციანიას, როგორც საკრებულოს წევრის მიერ მოხდება მათი რეგულარული გაკონტროლება. მან გამოაცხადა მზადყოფნა თითოეულ ამომრჩეველთან თანამშრომლობაზე, რათა უახლოეს მომავალში მიღწეული იქნას ჩვენს ქალაქში ცხოვრების ღირსეული და მაღალი დონე.

პატივისცემით,

ვერიკო კვიციანი

ვერიკო კვიციანი

კომისიის თავმჯდომარე

იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია